

დანართი 1

„დამტკიცებულია“

საქართველოს ენერგეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული
კომისიის 2012 წლის 29 მარტის N 9/2
გადაწყვეტილებით

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნის შესახებ

განაცხადის შევსების თარიღი „____“ _____

I. ზოგადი ინფორმაცია

წყალმომარაგების ლიცენზიატი: _____

მიერთების მსურველი (განმცხადებელი): _____
(სახელი, გვარი ან იურიდიული პირის შემთხვევაში მისი სახელი (სახელწოდება), ან სხვა პირის შემთხვევაში მისი სახელწოდება)

საიდენტიფიკაციო კოდი: _____
(იურიდიული პირის ან ინდმეწარმის, ან სხვა მეწარმე სუბიექტის შემთხვევაში)

მიერთების მსურველის (განმცხადებლის) საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: _____

მობ.ტელ: _____ ელ.ფოსტა: _____

(სურვილის შემთხვევაში)

მიერთების მსურველის (განმცხადებლის) საბანკო რეკვიზიტები: _____

ადგილი (მისამართი) სადაც უნდა მოხდეს წყალმომარაგება: _____

წყალმომარაგების ლიცენზიატის მიერ შეტყობინების გაგზავნის ფორმა:

წერილობითი; ელექტრონული.

II. ერთი ან ორი აბონენტის მიერთების მოთხოვნის შემთხვევაში

(ივსება მხოლოდ მიერთების შედეგად ერთი ან ერთდროულად ორი აბონენტის რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში)

განაცხადით მოთხოვნილი აბონენტთა რაოდენობა: ერთი; ორი.

<p>-1-</p> <p>1. დაუსტებელი მისამართი, სადაც უნდა მოხდეს წყალმომარაგება: _____</p> <p>2. აბონენტის (გადახდაზე პასუხისმგებელი პირის) სახელი, გვარი ან იურიდიული პირის სახელი: _____</p> <p>2.1. პირადი ნომერი ან საიდენტიფიკაციო კოდი: _____</p>	<p>-2-</p> <p>1. დაუსტებელი მისამართი, სადაც უნდა მოხდეს წყალმომარაგება: _____</p> <p>2. აბონენტის (გადახდაზე პასუხისმგებელი პირის) სახელი, გვარი ან იურიდიული პირის სახელი: _____</p> <p>2.1. პირადი ნომერი ან საიდენტიფიკაციო კოდი: _____</p>
<p>3. სასმელი წყლის მოხმარების მიზანი: <input type="checkbox"/> საყოფაცხოვრებო, <input type="checkbox"/> მრეწველობის საყოფაცხოვრებო.</p> <p>4. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი (სადაც უნდა მოხდეს წყალმომარაგება): _____</p> <p>5. მიერთების ტიპი: სრული <input type="checkbox"/>, სასმელი წყალი <input type="checkbox"/>, წყალარინება <input type="checkbox"/></p> <p>6. მოთხოვნილი მილის დიამეტრი: _____</p> <p>7. მოთხოვნილი წარმადობა: _____</p> <p>8. წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების საფასური (შეთავაზებული პაკეტის მიხედვით): _____</p>	<p>3. სასმელი წყლის მოხმარების მიზანი: <input type="checkbox"/> საყოფაცხოვრებო, <input type="checkbox"/> მრეწველობის საყოფაცხოვრებო.</p> <p>4. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი (სადაც უნდა მოხდეს წყალმომარაგება): _____</p> <p>5. მიერთების ტიპი: სრული <input type="checkbox"/>, სასმელი წყალი <input type="checkbox"/>, წყალარინება <input type="checkbox"/></p> <p>6. მოთხოვნილი მილის დიამეტრი: _____</p> <p>7. მოთხოვნილი წარმადობა: _____</p> <p>8. წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების საფასური (შეთავაზებული პაკეტის მიხედვით): _____</p>

შენიშვნა: საყოფაცხოვრებო მოხმარებლის შემთხვევაში - უძრავი ქონების საკადასტრო კოდის და საჯარო რეესტრი ამონაწერის ნაცვლად, შესაძლებელია, განაცხადზე თანდართულ იქნეს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველს.

III. ერთდროულად სამი ან სამზე მეტი აბონენტის მიერთების მოთხოვნის შემთხვევაში

(ივსება მხოლოდ მიერთების შედეგად ერთდროულად სამი ან სამზე მეტი აბონენტის რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში)

განაცხადით მოთხოვნილი აბონენტთა (ინდ.აღრიცხვა) საერთო რაოდენობა: _____

საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო აბონენტთა რაოდენობა:

საყოფაცხოვრებო _____ არა საყოფაცხოვრებო _____ განცალკევებული აღრიცხვა _____

უძრავი ქონების საკადასტრო კოდი (სადაც უნდა მოხდეს წყალმომარაგება): _____

საცხოვრებელი ბინის, საწარმოს ან სხვა სახის ობიექტის (ან ობიექტების) სამშენებლო-საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული (დადგენილი) მისაერთებელი წარმადობა: _____

წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების საფასური (შეთავაზებული პაკეტის მიხედვით): _____

IV. თანდართული დოკუმენტაცია:

მიერთების საფასურის 50%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი

საპროექტო ორგანიზაციის მიერ დამოწმებული, მისაერთებელი ობიექტის პროექტის წყალმომარაგების ნაწილზე ახსნა-განმარტებითი ბარათი (რომელიც დამუშავებულია დამტკიცებული პროექტის

არქიტექტურულ-სამშენებლო ნაწილის მონაცემების საფუძველზე)

ერთდროულად სამი ან სამზე მეტი აბონენტის რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში აბონენტების მიხედვით დაზუსტებული მისამართები და მოთხოვნილი წარმადობები - შევსებული დანართი 1.1

მიხედვით;

V. განაცხადის პირობები

ამ განაცხადის ხელმოწერით ვადასტურებ, რომ წყალმომარაგების ლიცენზიატის მიერ ამ განაცხადის მიღებისა და მასში ასახული პირობების შესრულების შემთხვევაში, შევასრულებ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის მიერ დამტკიცებული „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესებით“ განსაზღვრულ ვალდებულებებს, მათ შორის დროულად გადავიხდი წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების დადგენილ საფასურს.

განმცხადებლის ხელმოწერა _____

შენიშვნა: წყალმომარაგების ლიცენზიატის მიერ განაცხადის ფორმაში მოცემული ინფორმაციის გარდა სხვა ინფორმაციის მოთხოვნა ან მისი მიუწოდებლობა არ შეიძლება იყოს მიერთების პროცედურის ვადის შეჩერების, გადაცილების ან მიერთებაზე უარის თქმის საფუძველი.

აბონენტების მიხედვით დაზუსტებული მისამართები, მოთხოვნილი მილის დიამეტრი და მოთხოვნილი წარმადობები

#	აბონენტის დაზუსტებული მისამართი	აბონენტის (გადახდაზე პასუხისმგებელი პირის) სახელი, გვარი ან იურიდიული პირის სახელი	პირადი ნომერი ან იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო კოდი	მიერთების ტიპი	მოთხოვნილი მილის დიამეტრი	მოთხოვნილი წარმადობა *

* შენიშვნა: მოცემულ შემთხვევაში მისაერთებელი წარმადობის განსაზღვრა არ ხდება „მოთხოვნილი წარმადობის“ სვეტში არსებული მონაცემების დაჯამებით, არამედ – სამშენებლო-საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული (დადგენილი) მისაერთებელი წარმადობის მიხედვით.

მიერთების მსურველთა საყურადღებოდ

- ❖ განაცხადი უნდა შეივსოს კომისიის მიერ დამტკიცებული ფორმით (წერილობით ან ელექტრონულად).
- ❖ მიერთების მსურველი (განმცხადებელი) ვალდებულია, განაცხადის წარდგენამდე გადაიხადოს განაცხადში ასახული წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის 50%, ხოლო დარჩენილი თანხა (თუ მხარეები წერილობით არ შეთანხმდნენ სხვა პირობებზე) საყოფაცხოვრებო მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს 20 დღის განმავლობაში წყალმომარაგების დაწყების თარიღიდან, არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელმა კი – 10 დღის განმავლობაში წყალმომარაგების დაწყების თარიღიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში დარჩენილი თანხა აისახება როგორც სასმელი წყლის მიმდინარე დავალიანება.
- ❖ წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების შესახებ განაცხადის მიღების შემთხვევაში, მიერთების სამუშაოები შეიძლება შესრულდეს მხოლოდ წყალმომარაგების ლიცენზიატის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს ახალი მომხმარებლის კუთვნილ ტერიტორიამდე მიერთებისთვის დაკავშირებულ ყველა სამუშაოსა და ხარჯს (სრული ტექნოლოგიური ციკლს), მათ შორის მიერთების საპროექტო-სამშენებლო სამუშაოებს, მის შესრულებასთან დაკავშირებულ თანხმობის ან ნებართვის მოპოვებას და ყველა სახის საჭირო მოქმედებას და სამუშაოს (აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და წყალმომარაგების დაწყების ჩათვლით), რაც დაკავშირებულია ახალი მომხმარებლის მიერთებასა და წყალმომარაგებასთან.
- ❖ წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთებას არ წარმოადგენს შემდეგი შემთხვევები: მომხმარებლის სამართლებრივი ფორმის ან მისი უძრავი ქონების, ან ამ ქონების ნაწილზე მფლობელის შეცვლა, რომელზეც გაცემულია ტექნიკური პირობა, არის (ან იყო) მიერთებული წყალმომარაგების სისტემასთან და ხდება (ან ხდებოდა) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მისი წყალმომარაგება.
- ❖ დაუშვებელია მიერთების მსურველის (განმცხადებლის) მიერ მიერთებისათვის საჭირო საშუალებების შეძენა ან/და წყალმომარაგების სისტემაზე მოთხოვნილი მიერთების სამუშაოების წარმოება, მასთან დაკავშირებული საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების ან რაიმე სახის თანხმობის, ან ნებართვის მიღებაში მონაწილეობა. მიერთების მსურველი (განმცხადებელი) ასევე არ არის ვალდებული, წარმოადგინოს რაიმე სახის დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია (განაცხადში მოცემული ინფორმაციის გარდა) და დაესწროს წყალმომარაგების დაწყებას. მიერთების პროცესში წყალმომარაგების ლიცენზიატი ვალდებულია, მიერთების მსურველთან (განმცხადებელთან) ურთიერთობა აწარმოოს მხოლოდ ერთი უფლებამოსილი პირის მეშვეობით, რომელიც მიერთების მსურველის (განმცხადებლის) მოთხოვნის შემთხვევაში მიაწვდის მას სრულ ინფორმაციას მიერთების განხორციელების მსვლელობაზე. განმცხადებელს უნდა ეცნობოს წყალმომარაგების ლიცენზიატის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია განაცხადის მიღების დადასტურებისას, როგორც მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ისე განაცხადში მითითებული საშუალებით (წერილობით ან ელექტრონულად).
- ❖ მიერთების მსურველს (ახალი მომხმარებელს) უფლება აქვს, აირჩიოს (განაცხადით მოითხოვოს): მისაერთებელი მილის დიამეტრი და მისაერთებელი წარმადობა შეთავაზებული პაკეტის მიხედვით, ასევე მიერთების ტიპი, მათ შორის: სრული (სასმელი წყალი და წყალარინება), მხოლოდ სასმელი წყალი ან მხოლოდ წყალარინება.
- ❖ წყალმომარაგების ლიცენზიატმა 5 სამუშაო დღის ვადაში უნდა დაადგინოს განაცხადის სრულყოფილება და დაუყოვნებლივ აცნობოს განმცხადებელს პასუხი. განაცხადში ხარვეზის დადგენის შემთხვევაში იგი დარჩება განუხილველი, ხოლო მიერთების მსურველს (განმცხადებელს) უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური 10 სამუშაო დღის ვადაში. მიერთების მსურველს (განმცხადებელს) უფლება აქვს, წერილობით მოითხოვოს გადახდილი თანხის დაბრუნების გადავადება (შეჩერება) ახალი განაცხადის წარდგენის პირობით. მოთხოვნილი მიერთება განხორციელდება მხოლოდ ახალი განაცხადის წარდგენის შემთხვევაში.
- ❖ წყალმომარაგების დაწყების მოთხოვნილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური შემცირდება 50 %-ით. განაცხადის რეაგირების გარეშე დატოვების შემთხვევაში, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ მიერთების მსურველის (განმცხადებლის) მოთხოვნის საფუძველზე, მიერთების საფასური შეიძლება შეამციროს 50%-ით. შესაბამისად, თუ ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური პირს უკვე გადახდილი აქვს, ზედმეტად გადახდილი თანხა წყალმომარაგების ლიცენზიატმა უნდა დაუბრუნოს განმცხადებელს 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი
„საცალო მომხმარებლის მიერ წყალმომარაგების მოცულობის გაზრდის შესახებ“

განაცხადის შევსების თარიღი „___“ _____ 201_წ.

I. ზოგადი ინფორმაცია

1. წყალმომარაგების ლიცენზიატი: _____ ;
(იმ წყალმომარაგების ლიცენზიატის დასახელება, ვის ქსელზეც ხდება მიერთება)
2. განმცხადებელი: _____ ; საიდენტიფიკაციო კოდი ან პირადი ნომერი: _____ ;
(სახელი, გვარი ან იურიდიული პირის შემთხვევაში მისი სახელი, ან სხვა პირის შემთხვევაში მისი სახელწოდება) (იურიდიული პირის, ან ინდ. მეწარმის, ან სხვა სუბიექტის შემთხვევაში)
3. განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია:
 მისამართი: _____ ; მობ.ტელ: _____ ; ელ.ფოსტა: _____ ;
4. განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები: _____ ;
5. აბონენტის ნომერი, სადაც უნდა მოხდეს წყალმომარაგების მოცულობის გაზრდა: _____ ;
6. ადგილი (მისამართი), სადაც უნდა მოხდეს წყალმომარაგების მოცულობის გაზრდა: _____ ;
7. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი (სადაც უნდა მოხდეს წყალმომარაგება): _____ ;*
8. წყალმომარაგების ლიცენზიატის მიერ შეტყობინების გაგზავნის ფორმა: წერილობითი ან ელექტრონული.
9. გესაჭიროებათ თუ არა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა: არა ან დიახ.
10. სასმელი წყლის მოხმარების მიზანი: საყოფაცხოვრებო ან არასაყოფაცხოვრებო;
11. მოცულობის გაზრდის ტიპი: სრული , სასმელი წყალი , წყალარინება
12. სასმელი წყლის წყალმომარაგება:

არსებული		მოთხოვნილი	
მილის დიამეტრი	დასაშვები წარმადობა	მილის დიამეტრი	დასაშვები წარმადობა

13. წყალარინება - ნაგებობასთან მოწყობილ მიმღებ ჭაში შემსვლელი მილის დიამეტრი:
 - 13.1. არსებული მილის დიამეტრი _____ მმ;
 - 13.2. მოთხოვნილი მილის დიამეტრი _____ მმ;

14. გადახდილი წყალმომარაგების დასაშვები სიმძლავრის გაზრდის საფასური:
 - 14.1. საფასურის ოდენობა: _____ (_____) ;
(ციფრებში) (გადახდილი თანხა სიტყვიერად)
 - 14.2. წინასწარ გადახდილია _____ (_____) ;
(ციფრებში) (გადახდილი თანხა სიტყვიერად)

13. დამატებითი მოთხოვნა ან ინფორმაცია (სურვილის შემთხვევაში) _____ .

II. თანდართული დოკუმენტაცია:

14. გადახდის დამადასტურებელი საბუთი ;

III. განაცხადის პირობები

15. ამ განაცხადის ხელმოწერით ვადასტურებ, რომ წყალმომარაგების ლიცენზიატის მიერ ამ განაცხადის მიღებისა და მასში ასახული პირობების შესრულების შემთხვევაში, შევასრულებ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის მიერ დამტკიცებული „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესებით“ განსაზღვრულ ვალდებულებებს და დროულად გადავიხდი წყალმომარაგების დასაშვები სიმძლავრის გაზრდის საფასურს.

განმცხადებლის ხელმოწერა _____

შენიშვნა:

- * შესაძლებელია, განაცხადზე თანდართული იქნეს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველს. ხოლო, ქონების (ობიექტის) დროებით ფლობის (იჯარა, ქირა ან სხვა) შემთხვევაში, ასევე მესაკუთრის თანხმობის წერილი.